განკარგულება:**გ-23.23210561**
თარიღი:**25/02/2021**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებულ თანხების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"- ს 61- ე მუხლის მე -3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 დეკემბრის N45 დადგენილების შესაბამისად :

მუხლი 1.

დამტკიცდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხების გაცემის წესი დანართი N1- ის მიხედვით .

მუხლი 2.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს .

მუხლი 3.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 დეკემბრის N გ -23.23203592 განკარგულება.

მუხლი 4.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით (მისამართი : ქ . ზესტაფონი , წერეთლის ქ . N7) გამოცემიდან ერთი თვის ვადაში .

ვახტანგ ღამბაშიძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი